პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 1942 წ. № 30 (6346). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
4 თებერვლის დილის ცნობა

3 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ მოქმედებას გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილმა (დასავლეთის ფრონტი), რომელიც უკან დახეულ მტერთან შეუპოვარ ბრძოლებს ეწევა, ერთი დღის განმავლობაში ხელთ იგდო გერმანელთა დიდი ალალი, საომარი მასალისა და ველოსიპედების ორი საწყობი, 3 საზენიტო ქვემეხი და 416 ცხენი. ჰიტლერელებმა მოკლულთა სახით 130-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. მეორე უბანზე ჩვენმა მსროლელმა ნაწილმა 2 თებერვალს საღამოს მოიგერია მტრის გაძლიერებული ქვეითი პოლკის იერიში. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 100-ზე მეტი გვამი, 9 ტყვიამფრქვევი, 8 ავტომანქანა, 4 ნაღმსატყორცნი, ათობით შაშხანა და რევოლვერი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა მოსპო გერმანელთა 4 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, დატვირთული ალალი, დააზიანა ერთი ტანკი და ხელთ იგდო 2 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და დიდძალი საომარი მასალა.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ამხ. ჟურავლიოვის ნაწილის მფრინავებმა 1941 წლის 20 დეკემბრიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე მოსპეს გერმანელთა 767 ავტომანქანა საომარ მასალიანად და ქვეითი ჯარიანად, 10 მსუბუქი ავტომანქანა, 300-მდე საზიდარი ტვირთიანად, ჩააჩუმეს საველე არტილერიის 21 ბატარია, საზენიტო არტილერიის 13 წერტი, 31 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 13 ეშელონს, ააფეთქეს საომარი მასალის 6 საწყობი, გაჰფანტეს და გაჟლიტეს მტრის 3.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მტერთან გააფთრებული ბრძოლების შედეგად მოსპობილია მტრის 16 ძელ-მიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, 2 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი და 40 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. მტერმა მოკლულთა სახით 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

საბჭოთა რამდენიმე მზვერავმა პოლიტხელის მოადგილის ნიკოლაევის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანელთა ქვეგანაყოფზე, რომელიც 80 ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შესდგებოდა. მზვერავებმა ავტომატებით დახოცეს 30 გერმანელი. დანარჩენები პანიკამ მოიცვა და გაიქცნენ.

* * *

მებრძოლთა ჯგუფი ლეიტენანტ პოპოვის მეთაურობით შეიჭრა გერმანელთა იმ ნაწილების ზურგში, რომლებიც უკან იხევდნენ, და მოსპო მტრის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდი. მებრძოლებმა ხელთ იგდეს ქვემეხი, რომლითაც ლეიტენანტმა პოპოვმა პირდაპირი დამიზნებით დაუწყო ჟლეტა მტერს მისივე ყუმბარებით.

* * *

კარელიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მავთულის ღობესთან აღმოჩენილია თეთრფინელთა ფურცლები. ბევრ ფურცელს ნაბეჭდი ტექსტის ქვემოთ ხელით გაკეთებული აქვს შემდეგი შინაარსის მინაწერი: „ყურადღება. ჩვენ კი არ ვომობთ, არამედ ჩვენ, ფინელებს ძალით გვაომებენ გერმანელები".

* * *

გერმანიის მე-14 ქვეითი დივიზიის 53-ე პოლკის მე-14 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ჰაინც ეშერმა განაცხადა: „სოფელ ლევაშოვოს მახლობლად ესესელებმა 5 ადგილობრივი მცხოვრები ჩამოახრჩეს. სახრჩობელა ჩემი თვალით ვნახე. ამავე სოფელში ვნახე გვამები, რომლებსაც თავი მოკვეთილი ჰქონდათ. ეს ხალხი ესესელებმა აწამეს".

* * *

საბჭოთა ქვეყნის გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავისი შემოქმედებითი მუშაობით ეხმარებიან წითელ არმიას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურებაში. გორკის ამხ. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში ერთი თვის განმავლობაში შეტანილ იქნა 770 რაციონალიზატორული წინადადება. ახალგაზრდა ინჟინრების ამხ. ბორისოვისა და გორბმანის მარტო ერთი წინადადების განხორციელება წელიწადში 500 ათას მანეთ ეკონომიას მოგვცემს. ახალგაზრდა ტექნოლოგების ამხ. ტიხონოვისა და მინადოვის წინადადება საშუალებას მისცემს ქარხანას ყოველწლიურად დაზოგოს 450 ტონა ლითონი. ხაბაროვსკის გორკის სახელობის ქარხანაში ოსტატ მატვეენკოს ბრიგადამ შეიტანა 10 ძვირფასი წინადადება, რომელთაგან 6 უკვე დანერგილია წარმოებაში.

4 თებერვლის საღამოს ცნობა

4 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

3 თებერვლის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანელთა 29 თვითმფრინავი და აეროდრომებზე მოსპობილია 16 თვითმფრინავი. სულ ამ დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 45 თვითმფრინავი. ჩვენ 5 თვითმფრინავი დავკარგეთ.

4 თებერვლის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 7 თვითმფრინავი.

* * *

3 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, ჯავშნიანი მანქანა, 230 ავტომანქანა, რომლებითაც ჯარები გადაჰყავდათ და ტვირთი გადაჰქონდათ, საომარი მასალით დატვირთული 150 საზიდარი, 14 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 3 საზენიტო სატყვიამფრქვევო წერტი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 2 ეშელონს, დაამსხვრიეს 15 ვაგონი, მოსპეს და გაჰფანტეს მტრის ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტერი ცდილობდა სამ ძლიერ გამაგრებულ დასახლებულ პუნქტთან შეეჩერებინა ჩვენი ნაწილების შეტევა. ჩვენმა მებრძოლებმა ფლანგებიდან შემოუარეს გერმანიის ჯარის ნაწილებს და მტერი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ მას სრული გარემოცვა ემუქრებოდა. გერმანელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან, ამასთან მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1.800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 3 ტანკი, 14 ქვემეხი, 79 ავტომანქანა, 194 ველოსიპედი, 10 ტყვიამფრქვევი, 540 შაშხანა, 120 ათასი ყუმბარა და 4 ვაგონი ავიაბომბი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილმა ამხ. ზახაროვის მეთაურობით გერმანელები განდევნა წინააღმდეგობის დიდი კვანძიდან. მტერმა მოკლულთა სახით ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დავლა: 15 ავტომანქანა, 9 ქვემეხი, 1.000 ნაღმი და სხვა იარაღი და საომარი მასალა.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა, რომელიც უკან დახეულ მტერს სდევნის, ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში დაიკავა 3 დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო 5 ქვემეხი, მათ შორის ერთი შორმსროლელი ქვემეხი, 11 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, ყუმბარებით დატვირთული 37 ავტომანქანა, ჰიტლერელთა მიერ მშვიდობიანი მცხოვრებლებისათვის წართმეული ქონებით დატვირთული 10 საზიდარი და ბევრი სხვა დავლა. მტერმა მოკლულთა სახით 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

მტრის ჯარის ნაწილის „ფსიქიური" იერიშის მოგერიების დროს უფროსი ლეიტენანტ შრამკოს ბატარიის არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს.

* * *

სოფელ ნ-თან გამართული ბრძოლის დროს ტანკისტმა — უმცროსმა ლეიტენანტმა მორგუნმა ზარბაზნის მარჯვე სროლით მოსპო მტრის რამდენიმე საცეცხლე წერტი და თავისი მანქანის მუხლუხებით გასრისა 3 ქვემეხი. მტრის ყუმბარის მოხვედრის შედეგად საბჭოთა ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. მორგუნი დაიჭრა. მაგრამ მამაცი საბჭოთა ტანკისტი ბრძოლას განაგრძობდა, მან კიდევ 3 სატყვიამფრქვევო ბუდე მოსპო და მტრის 30-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოჰკლა.

* * *

დონბასის მაღაროელთა პარტიზანული რაზმი, რომელსაც ამხ. გ. მეთაურობს, თავს დაესხა გერმანელთა მატარებელს. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს ტანსაცმლით დატვირთული ვაგონი, ერთი ცისტერნი ბენზინი და სხვადასხვა სამხედრო საქონლით დატვირთული რამდენიმე პლატფორმა. თავდასხმის დროს გერმანელებს 10-მდე ჯარისკაცი მოუკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის შტაბი, ხოლო უფრო გვიან მოსპეს მტრის 2 ალალი, რომელთაგან ერთი 12,—ხოლო მეორე—50 საზიდარისაგან შესდგებოდა.

* * *

გერმანიის 268-ე დივიზიის 499-ე პოლკის მე-7 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ვილჰელმ შტრაიტმა განაცხადა: „ჩვენ დიდი ზარალი მოგვდის. მე-7 ასეულში 28 კაცი დარჩა, აქედან 6 კაცი დამზრალია. ძლიერ დამზრალთ ზურგში ჰგზავნიან, ხოლო მსუბუქად დამზრალთ მწყობრში სტოვებენ. მაგრამ მათი ბრძოლისუნარიანობა დიდი არ არის. ყველა ისინი კოჭლობენ ან ხელს თავისუფლად ვერ ხმარობენ. ყინვები საშინლად მოქმედებს ყველაზე, ხოლო რუსების შემოტევამ საბოლოოდ დასცა ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთება. ყველას თავში ერთი აზრი უტრიალებს — რამენაირად ცოცხალი გადარჩეს. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ უკან უნდა დავიხიოთ ჯერ 15 კილომეტრზე, შემდეგ 30, ხოლო შემდეგ 60 კილომეტრზეო. მაგრამ ჩვენ კიდევ შორს განვაგრძობთ უკან დახევას. ჯარისკაცთა კვება კიდევ უფრო გაუარესდა. დღეში 250 გრამ პურს და სადილად ერთ თეფშ სუპს გვაძლევენ. ყველა ჯარისკაცი დატილიანებულია. ქავილისაგან სხეულზე სისხლი სდით. საზამთრო ტანსაცმელი არავის არა აქვს. გერმანელ ჯარისკაცებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრაუხიჩის გადაყენებამ. ჩვენ, გერმანელი ჯარისკაცები, ვფიქრობთ, რომ გერმანიაში აფეთქება უნდა მოხდეს. მაგრამ ლაპარაკი, უკმაყოფილების გამოთქმა შეუძლებელია, რადგან ირგვლივ ჯაშუშები გვახვევიან. ესესელები გაიგონებენ და მაშინვე დაგვხვრეტენ. უკან დახევა ძლიერ გავლენას ახდენს ჯარისკაცთა ფსიქოლოგიაზე. უკანასკნელი დღეების განმავლობაში რამდენიმე ოფიცერმა თავი მოიკლა. გახშირდა ჯარისკაცთა უკვალოდ დაკარგვის შემთხვევები. არავინ იცის, სად მიდის ეს ხალხი—ტყვედ ნებდება თუ დეზერტირობს. მაგრამ ასეთი შემთხვევები სულ უფრო და უფრო მატულობს".

მოკლულ გერმანელ ობერ-ეფრეიტორ ვილი ჰარტუნგს უპოვნეს გაუგზავნელი წერილი, რომელსაც იგი თავის დას სწერდა. წერილში ნათქვამია: „ერთი კვირის განმავლობაში ჩემი 17 ამხანაგი დაიღუპა. ძალიან ბევრი დაიჭრა.

მე, არტილერისტი, ქვეითს ჯარში გამგზავნეს, ვინაიდან ყველა ქვემეხი დავკარგეთ. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც ჩვენ გადავიტანეთ".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა მტარვალებმა კალინინის ოლქის პოგორელსკის რაიონის სოფელ დურნევოში ჩამოახრჩეს კოლმეურნე ი. ნეკრასოვი და მისი ცოლი მხოლოდ იმისათვის, რომ მათმა მცირეწლოვანმა შვილმა შურამ მათს სახლში დაბინავებულ გერმანელ ჯარისკაცებს ერთი კოლოფი ასანთი მოსტაცა.

* * *

აღმოსავლეთ ყაზახეთის მაღაროელები დღითი-დღე ადიდებენ ტყვიის მადნის ამოღებას. უკანასკნელ დროს ლენინგორსკის მაღაროში დამყარებულია შრომის ნაყოფიერების ახალი შესანიშნავი რეკორდები. მბურღავმა ნიკოლოზ დობროდეევმა ცვლის დავალება შეასრულა 3.870 პროცენტით, პრასკოვია კაზაკოვამ—2.780 პროცენტით, ანა დავიდენკომ—2.400 პროცენტით.

სსრ კავშირის შინსახკომის ჯარების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შინსახკომის ჯარების უფროსთა და რიგითი შემადგენლობა. დაჯილდოებულთა შორის არიან: წითელი დროშის ორდენით — მაიორი ივანე ალექსის-ძე ტანკოპია, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით — წითელარმიელი ივანე ხიმონის-ძე ვოროთუბია, მედლით „მამაცობისათვის"—წითელარმიელი **ალექსი მიხეილის-ძე აშაბაძე.**

ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულება

ლაგოდეხის მტს-მა 1 თებერვლისათვის დაწესებულ ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა. დაწყებულია კომბაინების რემონტი და მიღებულია ზომები კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის.

მტს-ის დირექტორი **პატიაშვილი**

პოლიტგანყოფილების უფროსი **გელაშვილი**

ამხანაგ შვერნიკის სიტყვა მასობრივ მიტინგზე ლონდონში

ლონდონი, 1 თებერვალი (საკდესი). ამას წინათ ლონდონში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. შვერნიკმა.

ამხ. შვერნიკმა თავის სიტყვაში განაცხადა:

ამხანაგებო! მგზნებარე ძმურ სალამს გადმოგცემთ საბჭოთა კავშირის მუშების, მუშა ქალების, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის სახელით (ტაში). თითქმის 4 კვირაა, რაც საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ინგლისში იმყოფება. ტრედ-უნიონების გენერალური საბჭოს თავაზიანი სტუმართმოყვარეობისა და მისი ხელმძღვანელების მზრუნველობისა და ყურადღების წყალობით, საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას საშუალება ჰქონდა აქტიური მონაწილეობა მიეღო დიდი ბრიტანეთის მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილი 11 პროფკავშირული კონფერენციის მუშაობაში, სტუმრებოდა და დაეთვალიერებინა 60-მდე ფაბრიკა და ქარხანა, გემსაშენი და შახტი და გაემართა იქ 40-მდე მიტინგი.

დელეგაციას ყველგან გულითადი შეხვედრა მოუწყეს მუშებმა და მუშა ქალებმა, ყურადღებით ეპყრობოდა საწარმოთა ადმინისტრაცია.

მუშებთან, მუშა ქალებთან და პროფკავშირული ორგანიზაციების თანამდებობის პირებთან საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის შეხვედრები წარმოადგენს დიდ ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციას (ტაში).

ეს მეგობრობა განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ იგი წარმოიშვა მაშინ, როდესაც საშინელ განსაცდელში არიან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხები, განსაკუთრებით საბჭოთა ხალხები, რომლებმაც გადაიტანეს ჰიტლერის გერმანიის გიგანტური სამხედრო მანქანის დარტყმის მთელი სიმძიმე (მქუხარე ტაში).

უცილობელი ფაქტია, რომ ევროპაში ყაჩაღურ დაპყრობათა საქმეში თავისი წარმატებით ჰიტლერის გერმანიამ ბევრ ხალხს ჩაუნერგა გერმანელ ფაშისტთა სამხედრო ჩქმის შიში, დააფრთხო იმ ძალებში, რომლებსაც საკადრისი პასუხის გაცემა შეეძლებოდათ ჰიტლერისა და მისი არმიისათვის. ამასთან ჰიტლერის პროპაგანდამაც ცოტა მუშაობა როდი გასწია იმისათვის, რომ გერმანელ ფაშისტთა არმიისათვის უძლეველობის, ყოველი მტრის ელვისებრი დარტყმით დამარცხების უნარიანობის შარავანდედი შეექმნა. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მართლაც ბევრი არმია იარაღს ჰყრიდა ჰიტლერის არმიის წინაშე. ჰიტლერი ფიქრობდა, რომ სწორედ ასევე მოუვიდოდა საბჭოთა კავშირის წითელ არმიასაც.

როცა 1941 წლის 22 ივნისს ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას მუხანათურად, ყაჩაღურად დაესხა თავს, ჰიტლერმა ბაქიობით განაცხადა მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ომი ორიოდე თვეში დამთავრდებოდა, რომ გერმანიის არმია მარშით მიაღწევდა ურალს და, ამრიგად, საბჭოთა კავშირი განადგურებული იქნებოდა, ხოლო მის ხალხებს ნაწილობრივ ამოსწყვეტდნენ, ნაწილობრივ კი გერმანელი ბარონებისა და მემამულეების მონებად აქცევდნენ.

ჰიტლერმა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ დასძრა თავით-ფეხამდე შეიარაღებული უზარმაზარი არმია.

ტანკებით, ზარბაზნებით, თვითმფრინავებით, ნაღმსატყორცნებით და სხვა თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა გერმანიის არმიის 200-მდე დივიზიამ საბჭოთა კავშირის წმიდათა-წმიდა ზღუდეები გადმოლახა, დაარღვია მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი შრომა, დაიწყო ქალაქებისა და სოფლების ძარცვა-რბევა და გადაბუგვა.

ეს უმძიმესი განსაცდელის დღეები იყო მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

უეცრად თავდასხმა მუდამ უპირატესობას ანიჭებს მტერს, უწინარეს ყოვლისა კი ინიციატივას უგდებს ხელში. მაგრამ საბჭოთა ხალხი არ შემდრკალა, არ დაბნეულა (მქუხარე ტაში). მას არ აშინებდა მტრის ძალა, მრავალმილიონიანი არმია და მისი ათასობით ტანკები, თვითმფრინავები და სხვა იარაღი.

ომის პირველივე დღიდან, რომელსაც დიდი სამამულო ომი ეწოდა, საბჭოთა ხალხმა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა თავისი რიგები საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავისი ბელადის — ამხანაგ სტალინის გარშემო (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში), საძულველი მტრის სრულ განადგურებამდე და მოსპობამდე საბრძოლველად, თავისი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად (ტაში). საბჭოთა ხალხი ფხიზლად აფასებდა მომავალი ბრძოლის მთელ სიძნელეს. მან იცოდა, რომ მტერი ძლიერი და ვერაგია, რომ ბრძოლა უდიდეს მსხვერპლს და გაჭირვების ატანას მოითხოვს.

თუ რა უნდა გააკეთოს საბჭოთა ხალხმა, ჩვენი ქვეყნის თითოეულმა პატიოსანმა მოქალაქემ, თუ რა ამოცანები ისახება მათ წინაშე — ეს ნათქვამი იყო ამხანაგ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის ისტორიულ მიმართვაში. ამხანაგ სტალინის პირით მთელს მსოფლიოს ეუწყა, თუ რა ვითარება შეიქმნა, როგორია არმიისა და ფლოტის ამოცანები, როგორია მთელი ხალხის ამოცანები. ეს ამოცანები მოკლედ იყო ჩამოყალიბებული: **ყველა საბჭოთა ადამიანმა თავისი მუშაობა საომარ ყაიდაზე უნდა გარდაჰქმნას, ყველაფერი უნდა დაუქვემდებაროს ფრონტის საჭიროებას მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მტერზე გამარჯვებისათვის.** ასე იქმნებოდა ჩვენს ქვეყანაში ურღვევი კავშირი ზურგსა და ფრონტს შორის, ზურგი და ფრონტი ერთიანი გახდა (ტაში).

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ფრონტისა და ზურგის კავშირი დღითიდღე სულ უფრო და უფრო მტკიცედ დუღაბდებოდა, და დღეს ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს ერთიან საბრძოლო ბანაკს, რომელიც მზად არის მხოლოდ იბრძოლოს და მხოლოდ გაიმარჯვოს (ტაში).

ამრიგად, ჰიტლერის გერმანია ელვისებრი განადგურების მისი გეგმებითურთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობისა და დარაზმულობის უძლეველ ძალას წააწყდა. არც ჰიტლერს და არც მის ბოროტ თანამზრახველებს ეს სრულიად არ გაუთვალისწინებიათ, როცა ადგენდნენ ჩვენი ქვეყნის დამონების თავიანთ ყაჩაღურ გეგმებს, რომლებიც სამარცხვინოდ ჩაიფუშა იმის პირველ დღეებშივე. თავისი არმიის უძლეველობის ქედმაღლური სულისკვეთებით შეპყრობილი ჰიტლერის გერმანია, ისევე როგორც გერმანიის არმიის სარდლობა, პირველად შეეჯახა საბჭოთა კავშირში ისეთ არმიას, რომლის მამაცობა და გმირობა უმაგალითოა (ტაში). მართლაც, სად, რომელ ქვეყანაში შეხვედრიან ჰიტლერელი ბანდიტები ასეთ სიძულვილს მათდამი, არა ერთეული გმირების, არამედ მთელი არმიის, მუშებისა და გლეხების მილიონიანი არმიის მზადყოფნას — უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ?

მე საშუალება არა მაქვს თუნდაც დაახლოებით გიამბოთ, თუ რა გმირობა ჩაიდინეს და რა გმირობას სჩადიან ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებსაც ხელმძღვანელობს და გმირობისათვის აღაფრთოვანებს მათი ბელადი და მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი (მქუხარე ტაში). ამიტომ, ნება მიბოძეთ, დავუჯერდე იმ გმირობის მარტო ორიოდე მაგალითის დასახელებას, რომელიც წარმოადგენს არა მარტო ცალკეული ადამიანების, არამედ მთლიანად წითელი არმიის ღირსებასა და საბრძოლო თვისებას. აი ერთ-ერთი გმირობა 28 გვარდიელისა, რომელიც მათ ჩაიდინეს მოსკოვის დაცვის სახელოვან და დაუვიწყარ დღეებში, როდესაც მტრის მოძალება განსაკუთრებით მძაფრი იყო. მოსკოვისაკენ მომავალ გერმანელ ფაშისტ ურდოებს თავიანთი მკერდით გადაუღობეს გზა საბჭოთა ხალხის შვილებმა. ბრძოლის ერთ-ერთ დღეს მტრის 50-ზე მეტი ტანკი დაიძრა ზღუდისაკენ, რომელსაც იცავდა მოსკოვთან გმირულად დაღუპულ გენერალ პანფილოვის სახელობის დივიზიის 29 საბჭოთა გვარდიელი. ფაშისტთა ტანკები უახლოვდებოდნენ სანგრებს, რომლებშიაც ჩვენი მებრძოლები იყვნენ ჩამალული. ნიაღვრად წამოსული ტანკებისათვის 29 რიგითი მებრძოლის მხრივ წინააღმდეგობის გაწევა კაცი სიგიჟედ მიიჩნევდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ 50 ჯავშნიან ურჩხულისა და 29 მებრძოლის შებმა. რომელ ომში, როდის მომხდარა ასეთი უთანასწორო ბრძოლა! ასეთი გმირული შემართება წარსული ომების ისტორიას არ ახსოვს. მაგრამ საბჭოთა მებრძოლები, ჩვენი სახელოვანი, მშობლიური და ხალხის საყვარელი მებრძოლები არ შედრკნენ და ბრძოლაში ჩაებნენ (ტაში). 29 კაცში მხოლოდ ერთმა გამოიჩინა სულმოკლეობა. როცა ადვილ გამარჯვებაში დარწმუნებულმა გერმანელებმა გვარდიელებს შესძახეს, „დაგვნებდითო" მარტო ერთმა კაცმა ასწია ხელები, იგრიალა ზალპმა. რამდენიმე გვარდიელმა ბრძანების მიუღებლად და ერთმანეთთან მოულაპარაკებლად ესროლა ლაჩარსა და მოღალატეს. ეს იყო ხალხის ზალპი. ეს იყო სამშობლოს სახელი ფიცის გატეხისათვის.

და პოლიტხელ დიევის მიერ გულდამშვიდებით გაცემული ბრძანების შემდეგ: „არც ერთი ნაბიჯი უკანო"—გაჩაღდა უმაგალითო ბრძოლა.

მამაც მებრძოლთ ზედიზედ გამოჰყავდათ მწყობრიდან ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ტანკები, საწვავიან ბოთლებს ესროდნენ და სწვავდნენ ტანკებს. მაგრამ ზედიზედვე აკლდებოდნენ თავიანთ რიგებს უშიშარი მებრძოლებიც. ტრაგიკულ წუთებშიც კი, როცა მომაკვდავნი სამუდამოდ ხუჭავდნენ თვალს, მებრძოლები უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ და ურტყამდნენ მტერს. ბრძოლამ 4 საათზე მეტ ხანს გასტანა. ფაშისტთა ჯავშნიანმა მუშტმა ვერ გაარღვია ჩვენი ზღუდე, რომელსაც 28 გვარდიელი იცავდა. ბრძოლის ველზე გაქვავდა 18 დაღეწილი ფაშისტთა ტანკი (ტაში). მაგრამ აი, გამოილია საომარი მასალა, შეთხელდა მებრძოლთა რიგები. აღარც გრანატები დარჩა. ფაშისტები სანგარს უახლოვდებოდნენ. გერმანელები ტანკებიდან გამოხტნენ; მათ სურდათ ცოცხლად ჩაეგდოთ ტყვედ გადარჩენილი მამაცი მებრძოლნი და შემდეგ გასწორებოდნენ მათ. ძველი რუსული ანდაზა: „ბრძოლის ველზე მარტოხელი კაცი მეომრად ვერ გამოდგებაო". ახალი საბჭოთა სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ბრძოლის ველზე მარტოხელი კაციც მეომრად გამოდგება, თუ იგი საბჭოთა მეომარია. (ტაში).

პოლიტხელმა დიევმა გარს შემოიკრიბა ცოცხლად დარჩენილი ამხანაგები და კვლავ გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, ვიდრე ყველა 28 გმირი არ დაიღუპა. ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მტერი არ შემოუშვეს. ამ დროს დამხმარე ძალებმა მოუსწრეს და სატანკო ჯგუფი შეჩერებულ იქნა. ასე დაიღუპა 28 უბრალო და ჩუმი საბჭოთა მეომარი თავისი მშობლიური მოსკოვისათვის, თავისი საყვარელი სამშობლოსათვის, იმ მილიონობით ადამიანთა განთავისუფლების საქმისათვის, რომლებიც ფაშისტური ტირანიის უღელქვეშ გმინავენ. აბა სთქვით, ამხანაგებო, განა შეიძლება ისეთი არმიის, ისეთი ხალხის დამარცხება, რომელიც მთლიანად ისეთივე უშიშარი და მამაცია, როგორც ეს 28 სახელოვანი გვარდიელი? არა და არა, ასეთი ხალხი უძლეველია. (ტაში). ეს გმირი ხალხია, ეს ისეთი ხალხია, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება შეუძლია და გაიმარჯვებს კიდეც. (ხანგრძლივი ტაში).

ან კიდევ ერთი მაგალითი გმირობისა და უშიშრობისა, სიკვდილის არად ჩაგდებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვისა. ეს ამბავი აგრეთვე მოსკოვის დაცვის სახელოვან დღეებში მოხდა. გააფთრებული ბრძოლა იყო. ფლანგიდან მტრის ძლიერი ცეცხლის გამო წითელი არმიის ქვეგანაყოფი ძნელ პირობებში მიიწევდა წინ. ეს ჩაშლის საფრთხეს უქმნიდა ჩვენი ჯარების შეტევას ერთ-ერთ უბანზე. და აი რიგითი მებრძოლი სონნოვსკი, რომელმაც ბრძოლის ვითარება სწორად შეაფასა, მიცოცდა მტრის მიწურ საცეცხლე წერტთან, თავისი სხეულით დაფარა ტყვიამფრქვევს და დახურა ამბრაზურა. ტყვიამფრქვევის ჯერმა გული გაუგმირა მებრძოლს, მაგრამ ფაშისტთა ტყვიამფრქვევი პატრიოტისა და გმირის სისხლში ჩაიხრჩო. ამის შემდეგ დამთავრდა მტრის ბუნაგის დაკავება.

ბოლოს, მოვიყვან უკანასკნელ მაგალითს. დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ლეიტენანტ გუძის ტანკი, ქვეითი ჯარის იერიშისათვის დასახმარებლად მიეშურებოდა. გზაში მძლავრ საბჭოთა ტანკს ფაშისტთა 18 ტანკი შეხვდა. ლეიტენანტის მოწოდებამ „ბრძოლა გავუმართოთო" ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა მთელს ეკიპაჟში. გაჩაღდა ერთი საბჭოთა ტანკის ცხარე ბრძოლა ფაშისტთა 18 ტანკთან. ერთი 18-ის წინააღმდეგ. საბჭოთა ტანკს მეთოდურად ზედიზედ გამოჰყავდა მწყობრიდან მტრის ტანკები. მალე ბრძოლის ველზე გერმანელთა უკვე 10 დამწვარი და დაზიანებული მანქანა ეყარა. (ტაში). დანარჩენმა 8 ტანკმა გაქცევით უშველა თავს. ბოლო მოუღო რა ტანკებს, გმირი ეკიპაჟი მტრის თავდაცვის წინა კიდისაკენ გაემართა, სადაც ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების 4 ბატარია გასრისა. ამასობაში ჩვენი სახელოვანი ქვეითელები ეძალებოდნენ მტერს, რომელმაც შეტევას ვერ გაუძლო და გაიქცა. ტანკი უკან დახეულ მტერს კვალდაკვალ მისდევდა, სრესდა მას მუხლუხებით და ხოცავდა ტყვიამფრქვევით. ბრძოლის ველზე დარჩა 400-მდე ჰიტლერელი ბანდიტი, რომლებიც ვერასოდეს ვერ იხილავენ არამცთუ მოსკოვს, არამედ ბერლინსაც. (სიცილი, ტაში). მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში ტანკი 29 ადგილას შეიზნიქა, მანქანის გმირი ეკიპაჟი ბრძოლის დამთავრებამდე დარჩა და ბრწყინვალე დახმარებას უწევდა ქვეითს ჯარს.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა მაინც არა ვთქვა ჩვენს გმირ მფრინავებზე. ამ უშიშარმა შევარდნებმა უკვდავი სახელი მოიხვეჭეს. მარტო მოსკოვთან მათ ათასობით ფაშისტი პირატი მოსპეს, ამასთან ეს ჰიტლერის ავიაციის რჩეული ნაწილები იყვნენ. იშვიათი იყო, რომ მოსპობილ ეკიპაჟს შორის არ ყოფილიყვნენ რკინის ჯვრით დაჯილდოებულნი, და ერთი ჯვრით კი არა, არამედ რამდენიმეთი. ეს ჯილდოები ჰიტლერის მიერ გაცემული იყო ლონდონის დაბომბვისათვის, ლივერპულის უბნების დანგრევისათვის, ეს იყო ჯილდო ათასობით ინგლისელი მოქალაქის მოკვლისათვის, მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ცრემლისა და სისხლისათვის.

ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების, ლონდონის, ბირმინჰამის, კოვენტრისა და ინგლისის სხვა ქალაქების დანგრევისათვის ჩვენმა სახელოვანმა და უშიშარმა მფრინავებმა უკვე დაიწყეს ანგარიშის გასწორება. საზიზღარ მტერთან ამ შურისგებას საბჭოთა ხალხი ბოლომდე მიიყვანს. (მქუხარე ტაში).

ამ საგმირო საქმეებს წითელი არმია მარტო მოსკოვთან კი არ სჩადიოდა და სჩადის. ამ საგმირო საქმეებს იგი სჩადის შორეულ ჩრდილოეთშიც, მურმანსკის ფრონტზეც, ჩვენს სახელოვან და მშობლიურ ლენინგრადთანაც, უკრაინის ველებზეც და შავი ზღვის ნაპირებზეც. ამ საგმირო საქმეებს ჩვენი წითელი არმია სჩადიოდა მაშინ, როდესაც მას უკან უნდა დაეხია, ხოლო უკან დახევისას მოექანცა მტერი, რომელმაც ომის 6 თვის განმავლობაში 6 მილიონზე მეტი კაცი დაჰკარგა. ამ საგმირო საქმეებს ჩვენი არმია სჩადის ახლაც, როდესაც იგი უკვე მეორე თვეა მაგრად ურტყამს გერმანელ ფაშისტ ბანდიტებს და ფაშისტი ოკუპანტებისაგან ზედიზედ ათავისუფლებს სოფლებსა და ქალაქებს. (ტაში).

რა არის წყარო ჩვენი არმიის ძალისა, იმ არმიის, რომელმაც გააქარწყლა მითი გერმანიის ფაშისტური არმიების უძლეველობის შესახებ, რომელმაც 6 თვის განმავლობაში გაუძლო მტრის უდიდეს შემოტევას და, ბოლოს, კონტრშეტევაზე გადავიდა მთელ ფრონტზე? ეს წყაროა მტკიცე საბჭოთა ზურგი. მტკიცე ზურგის გარეშე არ შეიძლება ძლიერი იყოს არმია, არ შეიძლება გამარჯვება.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, ჩვენს ქვეყანაში ფრონტი და ზურგი ერთიანია. ზურგი და ფრონტი, ხალხი და არმია ცხოვრობენ ერთი მიზნით — გაანადგურონ და მოსპონ მტერი! (ტაში).

ფრონტზე მებრძოლთა მიერ ჩადენილ გმირობას ზურგი უპასუხებს მამაცური ბრძოლით, საგმირო საქმეებით, თავდადებული შრომით ფაბრიკებსა და ქარხნებში. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის — აი საბჭოთა ადამიანების წმინდა დევიზი ზურგში (ტაში). და ეს სიტყვა კი არ არის, არამედ საქმე საბჭოთა ადამიანებისა. ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი. ერთ-ერთ თავდაცვითს ქარხანაში ოსტატმა სტახანოველ დიმიტრი სოკოლოვს სასწრაფო დაკვეთა ჩააბარა. „ვადა 10 დღეა". — უთხრა ოსტატმა და იქვე დასძინა: „თვითონ იცი, რაც უფრო მალე გააკეთებ, მით უკეთესი იქნება. დაკვეთა ხომ ფრონტისათვის არის განკუთვნილი". სასადილო შესვენებისას სოკოლოვმა შინ ასეთი შინაარსის ბარათი გაგზავნა: „ნურც დღეს და ნურც ხვალ ნუ მელოდებით, სამუშაოს დავამთავრებ და მოვალ". სოკოლოვი მუშაობის შეწყვეტის დროს ისვენებდა, და ისიც არა მთლიანად. სასადილო და დასასვენებლად ერთი საათია დაწესებული, სოკოლოვი კი 25 წუთს ხარჯავდა. ასე გრძელდებოდა სამ ცვლას, რის შემდეგ ოსტატმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა, რომ სოკოლოვს დაესვენა. „დასვენება არ მჭირდებაო", — უპასუხა სოკოლოვმა. მეხუთე ცვლის დასასრულისათვის დაკვეთა ჩაბარებულ იქნა (ტაში). სოკოლოვი ამის შემდეგაც გამოვიდა სამუშაოზე ცვლის დაწყებისას. ასევე მოექცა სოკოლოვი მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან დაკვეთას, რომელიც მან ხუთჯერ უფრო ჩქარა შეასრულა, ვიდრე ოსტატის მიერ იყო დაწესებული. „მებრძოლიო" — ასე უწოდეს სოკოლოვს საამქროს მუშებმა.

ან აი მამაცობის მეორე მაგალითი. დაახლოებით შუაღამე იქნებოდა, რომ ლენინგრადთან არსებული ერთი რკინიგზის სადგურის თავზე ფაშისტთა თვითმფრინავები აგუგუნდა. ლიანდაგზე, სადაც სამხედრო ტვირთით დატვირთული ეშელონი იდგა, მძიმე ფუგასური ბომბები სკდებოდა. კატასტროფა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ერთ-ერთი ბომბი ორთქლმავალთან სულ ახლოს დაეცა, და ნამსხვრევმა მემანქანე დასჭრა. მდგომარეობა სახიფათო ხდებოდა. მაშინ საავარიო-აღმდგენი ბრიგადის ხელმძღვანელი სტეფანე ბორზიხი როდი დაიბნა, შევარდა მემანქანის ჯიხურში და ორთქლმავალი მიაწოდა მატარებელს. იმ მომენტში, როცა ბორზიხი ორთქლმავალს აბამდა მატარებელს, ჰაერის ტალღამ იგი ბუფერს მიახეთქა. სისხლი სდიოდა ბრიგადირს სახეზე. ბორზიხმა აიტანა ტკივილი, დაივიწყა საფრთხე, რომელიც მას ემუქრებოდა, დაამთავრა მატარებლის შებმა და ეშელონი მთავარი ხაზზე [illegible] (ტაში). როცა დაბომბვის ზონა უკან დარჩა, ბორზიხმა დაინახა, რომ [illegible] მატარებელი [illegible] სახურავებით ცეცხლის კერამდე მივიდა, სადაც მარტო შეუდგა ხანძრის ჩაქრობას. ქარი ალს არხევდა. ბორზიხმა იწყო ვაგონის სახურავიდან ხელით რკინის ჩამოგლეჯა. მისი ხელები დანამწვრებით დაისერა. ის იყო ბორზიხმა ამ ხანძრის ჩაქრობა დაამთავრა, რომ კიდევ გაჩნდა ხანძარი, — ცეცხლი მოეკიდა ხის ერთ-ერთ ყუთს, რომელიც საომარი მასალით იყო სავსე. ბორზიხი ვაგონში შევარდა და დაბამბული კურტაკით ჩააქრო დაწყებული ხანძარი. ამ დროს სადგურიდან მუშებმაც მოუსწრეს. ბორზიხმა გრძნობა დაჰკარგა. მაგრამ თავიდან აგვაცილა საფრთხე, დაბომბვის ზონიდან გაიყვანა ეშელონი, ჩააქრო ხანძარი და უზრუნველჰყო ეშელონის გაგზავნა ფრონტზე, იქითკენ, სადაც წითელი არმიის გმირი მებრძოლები მტერს ანადგურებდნენ. (ტაში).

ჰიტლერელ ბანდების წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო მებრძოლები ფრონტზე, არამედ მუშებიც, მუშა-ქალებიც, ინჟინრები და ტექნიკოსებიც საბჭოთა კავშირის ზურგში. მტერს მოსვენებას არ აძლევს, მის კომუნიკაციებს, მის კავშირგაბმულობას ანგრევს, მის საწყობებსა და აეროდრომებს სწვავს საბჭოთა ხალხი იქ, სადაც მტერი დროებით ბატონობს. პარტიზანი!—რა შიშსა და სიძულვილს ჰგვრის ეს სიტყვა მტერს. პარტიზანები მრისხანე ძალაა, რომელიც არც დღისითა და არც ღამით, არც ფრონტის მახლობლად და არც მტრის ღრმა ზურგში მოსვენებას არ აძლევს გერმანელ ბანდიტებს. მათ მიერ ჩადენილ ყველა საგმირო საქმეს კაცი ვერ ჩამოსთვლის. მათს დასახასიათებლად მოვიყვან პარტიზანული რაზმის ერთ-ერთი მეთაურის უბრალო, ლაკონიკურ დღიურს. აი რა სწერია ამ დღიურში: 6 იანვარი: გზაში გერმანელთა 2 დატვირთული საზიდარი შეგვხვდა. საზიდრები მოვსპეთ, ხუთი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, რომლებმაც წინააღმდეგობა გაგვიწიეს, დავხოცეთ. 8 იანვარი: მოვშალეთ მტრის სატელეფონო ხაზი, კიდევ მოვსპეთ ორი საზიდარი; გერმანელებთან გამართული სროლის დროს მოვკალით ხუთი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი. 9 იანვარი: საფრიდან დავხოცეთ 6 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც გზას პატრულობდნენ. 11 იანვარი: თავს დავესხით მტრის ალალს, რომელიც 100 საზიდრისაგან შესდგებოდა, ავტომატებითა და შაშხანებით მოვკალით 5 გერმანელი, ცეცხლი წავუკიდეთ საომარი მასალით დატვირთულ 2 ფურგონს. 12 იანვარი: გადავჭერით საკაბელო კავშირგაბმულობის 2 მავთული. სხვა ადგილას 600 მეტრზე მოვშალეთ კავშირგაბმულობის ხაზი, მოვკალით 3 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი; დავნაღმეთ გზის რამდენიმე უბანი.

მაგრამ თუ წითელი არმია და ხალხი გაერთიანებული არიან, შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, პარტიზანები ერთი მუჭა პატრიოტებია, რომლებიც საგმირო საქმეებს სჩადიან, მაგრამ მათ მხარს არ უჭერს საბჭოთა ხალხი, რომელიც დროებით ჰიტლერიზმის უღელქვეშ მოექცაო. პარტიზანები, რა თქმა უნდა, მამაც ადამიანთა ჯგუფებია, მაგრამ ეს ადამიანები, ისევე როგორც წითელი არმია, ხალხის სიყვარულითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

სწორედ ამიტომ არის, რომ გერმანიის სამხედრო ხროვას არ ძალუძს პარტიზანული მოძრაობის ჩახშობა, ვინაიდან შეუძლებელია იმ ხალხის დახრჩობა, რომლის მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობენ პარტიზანები (ტაში).

აი ერთი ფაქტი, რომელიც ახასიათებს ხალხის კავშირს პარტიზანულ მოძრაობასთან. გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს პარტიზანული რაზმი, რომელსაც ამხანაგი პ. მეთაურობს. ამ მეთაურის სახელი გერმანელებს შიშის ზარსა სცემს. რას არ მიმართა გერმანიის სარდლობამ, რათა შეეტყო, თუ სად იმყოფება ამხ. პ. და მისი რაზმი. გერმანელები მოხუც ქალებსა და პატარა ბავშვებს შორის ეძებენ გამცემს, მაგრამ ვერ პოულობენ. ერთ-ერთ სოფელში გერმანელი ლეიტენანტი დიდ ხანს აწარმოებდა ერთი მოხუცი ქალის დაკითხვას. ლეიტენანტის წინ იდგა პატარა ტანის, უმწეო, ჩაფიქრებული მოხუცი და ყველა კითხვაზე უპასუხებდა: „არ ვიცი". ფაშისტ გარეწარს ეგონა, სწორედ ამ მოხუცმა დედაკაცმა იცის, სად იმყოფება ამხ. პ. და მისი რაზმიო. ლეიტენანტი დიდ ხანს იკავებდა თავს, ჰპირდებოდა მას ძროხას, ფულს, ახალ სახლს, თუ იგი უჩვენებდა პარტიზანული რაზმისა და მისი მამაცი მეთაურის ამხ. პ-ს ადგილსამყოფელს. მაგრამ მოხუცი წინანდებურად იმეორებდა: „არ ვიცი". (ტაში). ბოლოს, ლეიტენანტს მოთმინების ფიალა აევსო. მან არამც თუ დაუყვირა, არამედ დაარტყა კიდეც მას, ხოლო გერმანელმა ჯარისკაცებმა კონწის კვრით გააგდეს იგი ქუჩაში. კოლმეურნეებმა აიყვანეს მოხუცი ქალი, სისხლი მობანეს და საწოლში ჩააწვინეს. ღამით მის სახლში შევიდა ამხანაგი პ. იგი მივიდა მოხუცთან, დაიხარა და ჰკითხა: „რა იყო, ბები, გტკივა? „მტკივა",—უპასუხა მან. მოხუცმა შემოიწია და სტუმარს შეხედა. იგი მას იცნობდა ბავშვობაში, მაშინ, როდესაც პერანგისამარა სოფლის ქუჩებში სხვა ბიჭებთან ერთად დარბოდა. ახლა მის წინ იდგა დიდი, მხარბეჭიანი, ლამაზი ვაჟკაცი. „გმადლობთ, ბები",—უთხრა ამხ. პ-მ და აკოცა მოხუცს. „აქედან გაერეკეთ წყეული არამზადები, 15 კაცი იყო, აი შეხედე, ქუჩაში ჰყრიან. ეს, ჩემო კარგო სულ შენი წამებისათვის მიიზღეთ მათ".

სოფლიდან ტყეში დაბრუნების დროს მეთაურმა უეცრად რაზმს უბრძანა გაჩერებულიყო, ხოლო თვითონ ცხენიდან ჩამოხტა და გაცოცდა. რამდენიმე წუთის შემდეგ რაზმს მოესმა დათქმული ძახილი. ტყის გზაზე მოდიოდა გერმანელ ველოსიპედისტთა რაზმი ორი ოფიცრის მეთაურობით. პარტიზანებმა

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

მიეცით სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი!

დასავლეთის მაღარომ უნდა გარდაქმნას მუშაობა

ტყიბული, 4 თებერვალი („კომუნისტის" კორ.). ტყიბულის მაღაროებში უკანასკნელად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვანახშირის სწრაფად ტვირთვის საქმეს. სტალინის სახელობის მაღაროში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვანახშირის ტვირთვა. სარკინიგზო ვაგონები დაუყოვნებლივ იტვირთება და მათი მოცდენა ლიკვიდირებულია.

დღეს და გუშინ მტვირთავთა ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ალ. კუტილიძე ხელმძღვანელობს, ვადამდე უზრუნველჰყო ქვანახშირის დატვირთვა. ბრიგადის წევრებმა გრ. გრიგოლიამ, კ. ვარდოსანიძემ, ნ. სულამანიძემ, ბაზაძემ, ხეთაშვილმა, ყაზარიანმა და სხვებმა 200-300 პროცენტით შეასრულეს დავალება.

ქვანახშირის ტვირთვის საქმე განსაკუთრებით გაუმჯობესდა ლენინის სახელობის მაღაროში, სადაც ერთი-ორი კვირის წინათ ადგილი ჰქონდა სარკინიგზო ვაგონების მოცდენას.

გუშინ ლენინის სახელობის მაღაროში დამთავრდა ახალი ბუნკერის აგება, ხოლო დღეს ჩატარდა მისი გამოცდა, რამაც კარგი შედეგები მოგვცა. 15 წუთში მექანიზებული წესით დაიტვირთა სამი დიდი ვაგონი. წინათ ამ საქმეს 20-25 კაცი უნდებოდა სამ საათს, თუმცა მოცემული დრო 2 საათი და 15 წუთი იყო. ახალ ბუნკერს აქვს 9 კარი და ერთდროულად ტვირთავს ორ ვაგონს. ამავე დროს იძლევა მუშა-ხელის მაქსიმალურ ეკონომიას. ბუნკერის კარების გასაღებად მხოლოდ ორი მუშაა საჭირო.

ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გარდაჰქმნა მუშაობა დასავლეთის მაღარომ. აქ ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, დამგვიანებლებისა და გამცდენების წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ. ზოგჯერ შრომის დისციპლინას არღვევენ თვით წარმოების მეთაურები. დასავლეთის მაღარომ უნდა გარდაქმნას მუშაობა. იგი მოწინავეებს უნდა დაეწიოს.

დ. საბელაშვილი

ტექმინიმუმის შესწავლის კურსები

ტყიბული, („კომუნისტის" კორ.). ერთი კვირაა, რაც წარმატებით მეცადინეობენ მეჯალამბრეებისა და მემოტორეთა ტექმინიმუმის კურსები, რომელშიც 15 ქალი სწავლობს. ჯალამბრისა და ელექტრომოტორების მართვის ტექნიკას განსაკუთრებით კარგად ეუფლებიან მაღაროში დაბალ კვალიფიკაციაზე (გამგორებლად, ამწმენდებად, ელექტროკონსკის მორიგეებად) მომუშავენი: მარუსია ერმაკოვა, ლიანა ლიმარენკო, თამარ ტკაჩენკო, მარუსია მარგუნოვა და სხვ.

კურსებს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ელექტრომექანიკოსი შოთა კაკაბაძე.

მაღაროელი ქალები

აკარმარა, (საქდესი). სამამულო ომის დღეებში ქალთა შრომის როლი სტალინის სახელობის შახტში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქალთა ლოზუნგმა — ფრონტზე წასულნი შევცვალოთ სანგრევებში — ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ტყვარჩელის მაღაროელთა შორის. 200-ზე მეტ ქალს შეასწავლეს მაღაროელთა სხვადასხვა სპეციალობა. ქალთა რაოდენობა შახტში 51 პროცენტით გაიზარდა. მოტორისტებად, მეჯალამბრეებად, ქანების ამკრებად, გამზომავებად მხოლოდ-მხოლოდ ქალები მუშაობენ. ისინი შეადგენენ გამგორებელთა 80 პროცენტს და ხე-ტყის დამცურებელთა მეოთხედ ნაწილს. მუშაობენ გამთხრელებად, ამწმენდებად და სხვ.

ამჟამად ტყვარჩელის მუშა ქალები ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებას აღწევენ წითელი არმიის მომავალი წლისთავის აღსანიშნავად. შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში არიან ელექტრომავლის მემანქანე ელენე მელადე და მე-5 უბნის ამწმენდი ეფროსინე გრონი. ისინი გამომუშავების ნორმას დაახლოებით 200 პროცენტით ასრულებენ.

უავარიო მუშაობით თავი ისახელეს ორასიანმა მეჯალამბრეებმა ნატალია ემაკინამ და მარიამ ბონდარევამ, რომელიც დაჯილდოებულია ნიშნით „ქვანახშირის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი". დღითი-დღე 200 პროცენტზე მეტით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს გამგორებელნი ქსენია ზუიკოვა, ნადეჟდა ზაჩანოვა და ანა ვოიტოვა. მუშა ქალი ნინო წიქორია ეუფლება მჟღლავი მანქანის პროფესიას.

მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი უნდა გაძლიერდეს

აკარმარა, („კომუნისტის" კორ.). ტყვარჩელის მაღაროების ზოგმა უბანმა იანვრის დავალება ვერ შეასრულა. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ტრესტის ხელმძღვანელებმა მოსამზადებელ სამუშაოებს ნაკლები ყურადღება მიაქციეს.

მაღაროელები ახლა ასწორებენ ამ ნაკლს. იანვრის მეორე ნახევარში გაძლიერდა მოსამზადებელი სამუშაოების ტემპი. მოწინავე უბნებმა და ბრიგადებმა გეგმები გადამეტებით შეასრულეს. ამხ. ლეონოვის ბრიგადამ (მეშვიდე უბანი) გეგმის ზევით 20 მეტრის წინსვლა მოგვცა. ამხ. სვიატენის ბრიგადამ 20 დღეში შეასრულა იანვრის დავალება.

მეორე უბნის კოლექტივმა შვიდი დღით ადრე შეასრულა მოსამზადებელ სამუშაოთა იანვრის გეგმა და დამატებით გათხარა 20 მეტრზე მეტი. მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმას წარმატებით ასრულებს მეხუთე უბანიც (უფროსი ინჟ. ლაბახუა). ამ უბანმა იანვარში შეასრულა როგორც მოსამზადებელ სამუშაოთა, ისე ქვანახშირის ამოღების დავალება. ქვანახშირის ამოღების გეგმა ოთხი დღით ადრე შეასრულა მეშვიდე უბანმაც (უფროსი ამხ. ლოშარენკო) და გეგმის ზევით ათეულობით ტონა ქვანახშირი ამოიღო.

მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპები თებერვალში კიდევ უფრო იზრდება.

ზ. მერკვილაძე

ამხანაგ შვერნიკის სიტყვა მასობრივ მიტინგზე ლონდონში

(დასასრული)

გაატარეს რაზმი და როდესაც მან რამდენიმე მანძილი გაიარა, შაშხანები დაუშინეს. 16 ჯარისკაცი და ორი ოფიცერი იქვე გაგორდა, დანარჩენები გაიქცნენ. ამ დღეს რაზმმა 33 გერმანელი ფაშისტი ბანდიტი გაჟლიტა. (ტაში).

ასეთია პარტიზანული რაზმის ერთი დღის ბრძოლის შედეგი. გერმანელთა სარდლობა გააცოფა იმ დამარცხებამ, რაც მან პარტიზანული რაზმის დევნაში განიცადა. მან ამხ. პ-ს თავისათვის ჯილდოდ 20 ათასი მანეთი ნაღდი ფული გამოაცხადა. კოლმეურნენი ამ განცხადების გამო გულისწყრომით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „ძუნწია გერმანელი, ასეთი კაცისათვის—20 ათასი მანეთი! და განა არის ისეთი მილიონები ქვეყნად,—ამბობდნენ ისინი,—რომლებიც მისი, ჩვენი მშობლიურის, საბჭოთა ხელისუფლების დამცველის ღირსი იყოსო“. როგორც კი გერმანელთა ჯარები გამოჩნდებიან ხოლმე, სოფლებიდან მორეული ბილიკებით მოდიან გლეხები, რათა აცნობონ ამხ. პ-ს, რომ მტერი ახლოსაა.

მე ბევრი დრო წავართვით, რათა ცოტათი მაინც მეჩვენებინა საზიზღარი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ყოველ დღე, ყოველ საათში ბრძოლის ჰეროიკა. ეს ბრძოლა შვიდი თვეა გრძელდება. და კანონიერად დგება კითხვა: რა არის საბჭოთა ადამიანების, მამაკაცების, ქალების, მოხუცებისა და ბავშვების, წითელი არმიისა და პარტიზანული რაზმების მებრძოლების ამ უმაგალითო გმირობის წყარო? საბჭოთა ხალხის გმირობის წყაროა იმის შეგნება, რომ იგი იბრძვის სამართლიანი საქმისათვის, თავისი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს წყაროა უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, საბჭოთა წყობილებისადმი, თავის ბელად ამხანაგ სტალინისადმი. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

წითელი არმიის შეტევის შედეგად, რაც ერთ თვეზე მეტია სწარმოებს, მტერმა სერიოზული დარტყმები იგემა. თქვენ პრესიდან და რადიოგადაცემებიდან იცით, რომ განთავისუფლებულია მთელი რიგი უდიდესი ქალაქები, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები, თქვენ იცით აგრეთვე იმ უდიდესი ზარალის ამბავი, რომელიც გერმანელ ფაშისტთა არმიას მოსდის.

დაე ჰიტლერელმა ბრიყვებმა თავი ინუგეშონ და ხალხი ატყუონ იმით, რომ ეს არის გერმანიის ჯარების „გეგმაზომიერი“ ან „მიზანშეწონილი“ დახევა საზამთრო პოზიციებისაკენ თუ საზამთრო ბინებისაკენ. რა თქმა უნდა, ამ უკანდახევაში არავითარი გეგმაზომიერება არ არის. არის წითელი არმიის გეგმაზომიერი შეტევა. (ტაში).

რაც შეეხება საზამთრო ბინებს, გერმანელებმა, ეტყობა, მოსკოვის, როსტოვის, კალინინისა და სხვა ბინებს ამჯობინეს თოვლიანი სოროები თხრილებსა და სანგრებში, სადაც ისინი, დახოცილნი და დამზრალნი, ათასობით ჰყრიან თავიანთი გეგმაზომიერი უკანდახევის გზაზე. (სიცილი).

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დავმშვიდდეთ და ცდუნებას მივეცეთ არსებულ წარმატებათა გამო. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი. მტერს ჯერ კიდევ მოეპოვება ძალები. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ცდილობენ და ეცდებიან მოაგროვონ თავისი ძალების ნაშთები, რათა ახალი შემოტევა მოაწყონ. ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობა და ბევრი მსხვერპლი დასჭირდება მტრის განადგურებას, მის სრულ მოსპობას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი შორსაა რაიმე დემობილიზაციის ფიქრისაგანაც კი, პირიქით, საბჭოთა ხალხი გააორკეცებს თავის მეცადინეობას მტერთან ბრძოლისათვის, მისი სრული განადგურებისა და მოსპობისათვის.

ეს ამოცანა დგას არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინაშეც. რაც უფრო მეტს შეეცდებიან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხნი, მით უფრო ჩქარა დადგება მტერზე გამარჯვების ზეიმის დღე. როგორც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და ხალხების წინაშე, ისე დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასისა და ხალხების წინაშე დგას ამოცანა — კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი არმიების სამხედრო ძლიერება, მისცენ ფრონტს ყველა სახის იმდენი იარაღი, რამდენიც საჭიროა მტრის გასანადგურებლად. (ტაში).

მოხსენების დასაწყისში უკვე ვთქვი, რომ საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებს ეწვია. ჩვენ შეგვიძლია აშკარად განვაცხადოთ, რომ დიდი ბრიტანეთის მრეწველობა კარგად მუშაობს. წარმოების ორგანიზაციამ, საწარმოთა ტექნიკურმა აღჭურვილობამ დელეგაციაზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. მუშებთან და მუშა ქალებთან ურთიერთობის შედეგად დელეგაცია იმ რწმენამდე მივიდა, რომ დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასს ესმის ვითარების სერიოზულობა და გამსჭვალულია მტკიცე ნებისყოფით—ყოველივე გააკეთოს საჭურვლის წარმოების გასადიდებლად. ეს გადამწყვეტი ფაქტორია თანამედროვე პირობებში და უმნიშვნელოვანესი პირობაა მტერზე გასამარჯვებლად.

ჩვენ საქმიდ ბევრი ფაქტი ვნახეთ იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს მუშათა ინიციატივა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და, მაშასადამე, პროდუქციის გამოშვების გადიდებასაც. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, და ეს პირდაპირ სწორიც არ იქნებოდა რომ ყველა ფაბრიკამ და ქარხანამ ყველა საწარმოო ზღვრულ რაოდენობას მიაღწია და ტექნიკას გამოსწურა ყველაფერი, რისი მოცემაც კი მას შეუძლია, რომ ყველგან იდეალურად არის მოწყობილი წარმოება. დელეგაცია გულწრფელი არ იქნებოდა, ეს რომ თავისი მოკავშირეებისათვის არ ეთქვა. თუ ფაქტებს ობიექტურად შევაფასებთ და ყოველ საგანს თავის სახელს ვუწოდებთ, დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ დიდი ბრიტანეთის მრეწველობაში ჯერ კიდევ ცოტა. როდია გამოუყენებელი რეზერვები. თუ ამ რეზერვების მობილიზაციას მოახდენთ, თუ მათ აამოქმედებთ, ეს საშუალებას მოგცემთ მნიშვნელოვნად გაადიდოთ ტანკების, თვითმფრინავების, ზარბაზნების, ყუმბარებისა და სხვ. წარმოება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რეზერვები მობილიზებულ უნდა იქნას და რაც უფრო მალე მოხდება ესა, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი საერთო საქმისათვის. საწარმოო ღონისძიებათა საქმეში, შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი მოვალეობა ეკისრებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც. მაგალითად, ჩვენ დავინახეთ, რომ ყველაზე მეტი საწარმოო წარმატებანი მიღწეულია იმ საწარმოებში, სადაც საამქროს მამასახლისები მეტ ყურადღებას უთმობენ წარმოების საკითხებს, და სადაც მათს ხმას, ისე როგორც ყველა მუშის ხმას, ანგარიშს უწევს ადმინისტრაცია და ამიტომ დღეს ლონდონელთა მიტინგიდან ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იმ უდიდეს მოვალეობათა გრძნობით რომლებიც ეკისრება თითოეულ ჩვენთაგანს, როგორც იმ მებრძოლებს რომლებიც განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ეწევიან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. დაე დღევანდელი მიტინგის თითოეული მონაწილე ბოლომდე ჩაუფიქრდეს იმას, თუ რა გააკეთა მან ჰიტლერიზმის უსწრაფესი განადგურებისათვის. დაე თითოეულმა მონაწილემ სამუშაოზე ან სამსახურში მისვლისას იფიქროს იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, ყოველგვარი სახის იარაღის გამოშვების გასადიდებლად.

რაც შეეხება საბჭოთა მუშებსა და მუშა ქალებს, მთელ საბჭოთა ხალხს, ისინი ურტყამდნენ, ურტყამენ და კვლავ დაარტყამენ გერმანელ ოკუპანტებს მანამდე, სანამ ჰიტლერიზმი მოსპობილი არ იქნება. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ პირდაპირ ვუსწორებთ თვალს ბრძოლის სიძნელეებს. ჩვენ არ გვეშინია სიძნელეებისა, არ შევდრკებით სიძნელეების წინაშე, ისე როგორც არ შევუშინდით და არ შევდრკით მათს წინაშე ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლის პირველი დღეებიდანვე. (ტაში). ჩვენ ვიცით, რომ ვიბრძვით სამართლიანი საქმისათვის, ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. (ტაში). ჩვენ ვიცით, რომ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ამ წმიდა ბრძოლაში ჩვენ მარტონი არა ვართ. ჩვენთან არიან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხნი, რომლებიც ჰიტლერის ტირანიის უღელქვეშ ჰგმინავენ და თავისი განთავისუფლებისათვის, თავისი თავისუფლების აღდგენისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მტერი განადგურებულ იქნება, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. (ტაში). გაუმარჯოს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მეგობრობას! (ხანგრძლივი ტაში). მაღლა ავწიოთ კაცობრიობის საერთო მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა! დღითი-დღე გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და მივცეთ დიდი ბრიტანეთის არმიას და საბჭოთა კავშირის წითელ არმიას სულ უფრო და უფრო მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ზარბაზანი, ნაღმსატყორცნი და სხვა იარაღი! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში). გაუმარჯოს ჩვენს დიად გამარჯვებას ჰიტლერის გერმანიაზე! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

სამამულო ომის ფრონტებზე

მებრძოლმა ჩუბინიძემ 20 ფაშისტი განგმირა

დასავლეთის ფრონტი. გერმანელები, რომლებიც ჩვენი ჯარების შეტევის შედეგად უკან იხევენ, ბარბაროსულად ანგრევენ და სწვავენ საბჭოთა სოფლებს. ერთ-ერთი სოფელი ხანძრისაგან გადაარჩინა ჩვენი მებრძოლების გაბედულმა და სწრაფმა მოქმედებამ. ისინი სოფელში შეიჭრნენ სწორედ იმ მომენტში, როდესაც გერმანელები სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. ფლანგიდან სწრაფი დარტყმით ჩვენმა მეომრებმა სოფლიდან გააძევეს გერმანელები. ეს დარტყმა იმდენად უეცარი იყო, რომ ფაშისტებმა დასტოვეს თავიანთი დროშა, ათი ავტომანქანა, პირუტყვის მთელი ნახირი, რომელიც ფაშისტებს მოსახლეობისათვის წაერთმიათ, და ნაძარცვი ქონებით სავსე მრავალი საზიდარი.

ამ ბრძოლაში ნამდვილი გმირობა გამოიჩინა მებრძოლმა ჩუბინიძემ. იგი პირველი შევარდა სოფელში და ხელჩართულ ბრძოლაში ხიშტით განგმირა 20 გერმანელი. მეტყვიამფრქვევეებმა პიშნოგრაევმა და კუზნეცოვმა მოსპეს 12 გერმანელი ჯარისკაცი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა პატრიოტიზმის შესანიშნავი დოკუმენტი

ლენინგრადის ფრონტი, 3 თებერვალი (საქდესი). გააფთრებული ბრძოლა იყო. საბჭოთა მეომრები გერმანელ ოკუპანტებს ანადგურებდნენ, ბრძოლით ართმევდნენ მტერს ყოველ მეტრ მშობლიურ მიწა-წყალს. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა კომკავშირელი სერჟანტი იაკობ ბონდარი. სიკვდილის შემდეგ მას აღმოაჩნდა ბრძოლის წინა დღეს დაწერილი ბარათი. მოგვყავს სიტყვასიტყვით საბჭოთა პატრიოტიზმის ეს შესანიშნავი დოკუმენტი.

„...სიხარულით მივდივარ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, რათა ჩვენი სამშობლო მალე გავათავისუფლოთ საზიზღარი გერმანელებისაგან. თუ დავიღუპე, ჩემი სამშობლოს პატიოსან პატრიოტად დავიღუპები, ხოლო ვიდრე ცოცხალი ვარ, დაუზოგავად ვჟლეტ მტერს. მე ჩემი სამშობლო მიყვარს და მზადა ვარ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლო მისთვის. ერთი რამ ვიცი: ფაშისტ მხეცებს მალე მოვსპობთ და საბჭოთა ხალხი უწინდელზე კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვრებს. გთხოვთ კომუნისტად ჩამთვალოთ!“ იმ ქვეგანაყოფის მებრძოლები, რომელშიც იაკობ ბონდარი მსახურობდა, ყოველდღე სასტიკ შურს უგებენ მტერს თავიანთი ამხანაგის დაღუპვისათვის. მარტო ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში ქვეგანაყოფის სნაიპერებმა 33 ფაშისტი გასწყვიტეს. იანვრის 20 დღის განმავლობაში ჩვენმა სნაიპერებმა 222 გერმანელი ოკუპანტი გაჟლიტეს.

მეტყვიამფრქვევე ქოლუბის გმირობა

დასავლეთის ფრონტი, 3 თებერვალი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ერთ-ერთი ჩვენი მსროლელი ქვეგანაყოფი არ ეპუებოდა ნაღმებისა და მტრის ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ძლიერ ცეცხლს და შეტევას განაგრძობდა. მეტყვიამფრქვევეთა ცეცხლი ხელს უწყობდა საბჭოთა ქვეითების წინსვლას. ბრძოლა უკვე რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ცხარე ბრძოლის დროს მოჰკლეს ერთ-ერთი ჩვენი მეტყვიამფრქვევე. ქვეგანაყოფის მეთაური ქოლუბი თვითონ ჩაწვა ტყვიამფრქვევთან, განუწყვეტლივ იცვლიდა საცეცხლე პოზიციებს და სულ უფრო-და-უფრო უახლოვდებოდა გერმანელთა სანგრებს. აი უკვე რაღაც 70 მეტრი აშორებს მას მტრისაგან.

ამხ. ქოლუბმა ახალი პოზიციიდან მარჯვედ დაშენილი ჯერით რამდენიმე წუთში გასწყვიტა 17 ფაშისტი. ამ დროს მტერმა ამხ. ქოლუბის ტყვიამფრქვევი აღმოაჩინა და ვრიგალისებრი ცეცხლი დაუშინა. ამხ. ქოლუბი მკერდში დაიჭრა. მაგრამ ტყვიამფრქვევს არ მოსცილებია. არამზადა ფაშისტების ჟლეტას განაგრძობდა. გერმანელთა მეორე ტყვიამ იგი ფეხში დასჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავშიც დაიჭრა. ჰამაცი მეთაური სძლევდა სამი მძიმე ჭრილობის უძლიერეს ტკივილს, სისხლით იცლებოდა, მაგრამ საბრძოლო პოზიცია მაინც არ დაუტოვებია. იგი სათარში შევიდა და იქიდან განაგრძობდა თავისი ტყვიამფრქვევის გუნდის მოქმედების ხელმძღვანელობას.

ამასობაში ჩვენი შემტევი მწკრივები მტრის სანგრებს მიუახლოვდნენ. საჭირო იყო ერთი დარტყმაც და მტერი განადგურებული იქნებოდა, საბრძოლო ამოცანა შესრულდებოდა! ამ დროს მოულოდნელად დადუმდა ჩვენი ტყვიამფრქვევი. გერმანელებმა ამით ისარგებლეს, ცეცხლი გააძლიერეს და კონტრიერიშისათვის მზადებას შეუდგნენ. ამხ. ქოლუბი, რომელიც სისხლით იცლებოდა, კარგად ხედავდა ამას თავისი სათარიდან. მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ტყვიამფრქვევთან მიხოხდა და შეაკეთა. ტყვიამფრქვევი კვლავ აკაკანდა და სიტყვასიტყვით უშენდა მტრის სანგრებს. გერმანელები მიწას გაეკრნენ. საბჭოთა ქვეითნი ერთსულოვანი „ურათი“ შეიჭრნენ მტრის სანგრებში, ულმობელად ჟლეტდნენ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს და გაანქიეს თავზარდაცემული მათი ნაშთები.

საბრძოლო ზოლი ჩვენს ხელში გადმოვიდა.

ი. გრიგოვი.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო

თეირანი, 3 თებერვალი (საქდესი). სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადებამ უცხოველესი გამოხმაურება ჰპოვა ირანის მოსახლეობის ყველა ფენაში. მეჯლისის, ირანის მთავრობისა და საბჭოთა საელჩოს სახელზე განუწყვეტლივ მოდის წერილები, რომლებშიც სიხარულს გამოსთქვამენ ამ ხელშეკრულების დადების გამო. სულდის (ჩალუსის მახლობლად) მცხოვრებთა დიდი ჯგუფი მეჯლისის, პრემიერის, საბჭოთა საელჩოსა და ინგლისის მისიისადმი მიმართულ დეპეშაში სწერს, რომ გერმანელი ფაშისტები ცდილობდნენ ინტრიგების ქსელში გაებათ ირანი, მაგრამ „ჩვენი მეზობლები— სსრ კავშირი და დიდი ბრიტანეთი — დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პატივს სცემენ ჩვენს დამოუკიდებლობას. ჩვენი განვითარების შემდგომ გზას გვინათებენ და უცხოელთა ინტერვენციისაგან იცავენ ირანელ ხალხს“.

„ჩვენს ხალხს,—ნათქვამია შემდეგ წერილში,—სძულს ტირანია და ფაშისტურ სახელმწიფოთა მოძალადეობის პოლიტიკა. ჩვენი ხალხი მადლიერია თავისი ორი დიდი მეზობლისა ჩვენთან დაახლოებისათვის და იმ ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც ჩვენს მდგომარეობას განამტკიცებს. ჩვენი მთავრობის შორსმჭვრეტელობა ქების ღირსია. ჩვენ, სულდის მცხოვრებნი, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეგობარი და მეზობელი—სსრ კავშირი, რომლის მეგობრობასაც მუდამ დიდად ვაფასებდით, კიდევ უფრო ძმურად მოეპყრობა ირანის სახელმწიფოსა და ხალხს. გაუმარჯოს ირანს! გაუმარჯოს სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს! დაღუპვა ფაშისტური გერმანიის მთავრობას!“ თეირანის გაზეთები და რადიო განაგრძობენ საბჭოთა კავშირ-ინგლის-ირანის ხელშეკრულების კომენტირებას, თეირანის რადიოსადგურმა 30 იანვარს საღამოს გადასცა ავტორიტეტული პიროვნების მიერ დაწერილი და მთავრობის წრეებისაგან მოწონებული დიდი წერილი. 31 იანვარს ეს წერილი გაზეთ „მეჰრი ირანში“ დაიბეჭდა.

ავტორი დაწვრილებით, მუხლობრივ არჩევს ხელშეკრულებას და სწერს: „წარსული წლების ისტორია მუდამ გვაძლევდა იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ საბჭოთა მთავრობა გამსჭვალულია კეთილი განზრახვით ირანელი ხალხისა და სახელმწიფოსადმი. ამის საუკეთესო საბუთია 1921 წელს ირანთან დადებული ხელშეკრულება“.

„ამჟამად დადებული ხელშეკრულება, — აღნიშნავს ავტორი,—თანამედროვე ამბების ფონზე, რომლებმაც იგი წარმოშვეს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტია, და დარწმუნებული ვართ, რომ იგი სასარგებლო შედეგს მოუტანს ირანის სახელმწიფოსა და ხალხს. ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეებისათვისაც, რადგან ირანის მთავრობა და ხალხი მზად არიან განუსაზღვრელი დახმარება გაუწიონ მათ საომარი მიზნების განხორციელებაში“.

გაზეთი „ეტელაათი“ მოკავშირეობის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ მოწინავეში სწერს: ამ ხელშეკრულების დადებით ახალი ფურცელი გადაიშალა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც სარგებლობას მოუტანს ირანს. გაზეთი დასძენს, რომ ირანელი ხალხი მუდამ გულწრფელ და მეგობრულ გრძნობას იჩენდა თავისი მეზობლებისადმი.

ბულგარელ გლეხთათვის გამოტანილი განაჩენები

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საქდესი). „იუნაიტედ პრესის“ სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ პლევნის „სამხედრო სასამართლომ (ბულგარეთი) ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა რამდენიმე გლეხს, რომელთაც ბრალად ედებოდათ გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მომწოდები ფურცლების გავრცელება.

ფრანგი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგვცემს, რომ საფრანგეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსულ წერილებში აღწერილია საფრანგეთის მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობა. მარსელსა და პარიზში ზამთრის განმავლობაში სასურსათო მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა. ფრანგები პირდაპირ შიმშილობენ. საჭმელში ცუდი და უვარგისი „ერზაცების“ ხმარების გამო, სიკვდილის მრავალი შემთხვევა არის. საფრანგეთში ცხოვრება საპატიმროში ცხოვრებაზე უარესი გახდა. მარსელიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ სურსათის ულუფას უფრო და უფრო ამცირებენ, რადგან პროდუქტები გერმანიაში გააქვთ. მეორე წერილში აღნიშნულია, რომ პარიზის მეტროპოლიტენში მატარებლები საშინელი ხმაურით დადის საპოხი ზეთის ნაკლებობისა და ვაგონების თანდათანი ნგრევის გამო. ქუჩებში სამხედრო ავტომობილებს გარდა მანქანას ცოტას ნახავთ. გაჩნდნენ მეეტლენი, რომლებსაც მგზავრები აღმართში არ დაჰყავთ, რადგან ცხენები, ცუდი კვების გამო დაუძლურებული არიან. პარიზის რესტორანები და კინოთეატრები გაიებულია მხოლოდ გერმანელებისათვის.

ახალი ასიგნებანი ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო მშენებლობისა და საზღვაო შეიარაღებისათვის

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საქდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა ამერიკის არმიისათვის 33 ათასი თვითმფრინავის ასაგებად და გასაწყობად 12 მილიარდი და 556 მილიონი დოლარის ასიგნების კანონს. კანონი ითვალისწინებს, რომ ამ თანხიდან 4 მილიარდი დოლარი შეიძლება გამოყენებულ იქნას თვითმფრინავების წარმოებისათვის იმ მიზნით, რომ ისინი საზღვარგარეთ გაიგზავნონ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, სენატის ასიგნებათა კომისია ამჟამად იხილავს საზღვაო შეიარაღებისათვის 19 მილიარდი და 997 მილიონი დოლარის რაოდენობით დამატებითი ასიგნებათა კანონპროექტს. ამ კომისიაში საზღვაო მინისტრ ნოქსის გამოსვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ ოვერტონმა განაცხადა: განზრახული მაქვს წინადადება შევიტანო იმის შესახებ, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ასიგნებანი კიდევ 4 მილიარდი დოლარით იქნას გადიდებული უახლოესი ორი წლის განმავლობაში თვითმფრინავთა შესასყიდად. თვითმფრინავთა შესასყიდად კანონპროექტი თავდაპირველად ერთი მილიარდი და 668 მილიონი დოლარის ასიგნებას ითვალისწინებდა.

ამავე დროს სენატმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 750 მილიონი დოლარის ასიგნებას ათასზე მეტი გემის მშენებლობისათვის. ამ გემების მშენებლობის საერთო ღირებულება 3 მილიარდი და 900 მილიონი დოლარით განისაზღვრება. კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატას დაუბრუნდა იმასთან დაკავშირებით, რომ სენატმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა მასში.

ვაშინგტონი, 31 იანვარი (საქდესი). სენატის ასიგნებათა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც 26 მილიარდი და 500 მილიონი დოლარის დახარჯვას ითვალისწინებს საზღვაო მშენებლობაზე.

ომი წყნარ ოკეანეში

მოკავშირეთა გაერთიანებული სარდლობის ცნობები

ლონდონი, 3 თებერვალი (საქდესი). მოკავშირეთა წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის გაერთიანებული სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაცია საზევრავ ფრენას ეწეოდა და თვალყურს ადევნებდა იაპონელთა გემების მიმოსვლას მაკასარის სრუტეში. ამ ოპერაციების დროს ჩამოგდებულია იაპონელთა 9 თვითმფრინავი. მოკავშირეთა ავიაციამ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საქდესი). როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკე იუწყება, ამ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ფილიპინებზე იაპონელებმა არაერთხელ მიიტანეს იერიში ამერიკის ჯარების მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე ბატაანის ნახევარკუნძულზე (ლუსონის კუნძული). იერიშებს ტანკები ეხმარებოდა. ყველა იერიში მოგერიებულია, ამასთან იაპონელებმა დიდი ზარალი ნახეს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 3 თებერვალი (საქდესი). როგორც ინგლისის სინგაპურის სარდლობის კომუნიკე იუწყება, ამ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში იაპონელები დიდ აქტივობას იჩენდნენ კუნძულის თავზე. დაბომბვის შედეგად რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. სამხედრო ობიექტებისათვის მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა. იაპონელთა სახმელეთო ჯარებს აქტივობა არ გამოუჩენიათ. ინგლისის ბომბდამშენები წუხელ თავს დაესხნენ კლუანტის აეროდრომს და მცირე სიმაღლიდან მიიტანეს იერიში იაპონელთა ერთ ტრანსპორტზე. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ლონდონი, 3 თებერვალი (საქდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონიის ავიაციის მოქმედება გრძელდება. დღეს დილით იაპონელთა 26 ბომბდამშენმა დიდძალ ავიაგამანადგურებელთა თანხლებით იერიში მიიტანა სურაბაის (იავის კუნძული) და სხვა პუნქტების აეროდრომებზე. არის მცირეოდენი მატერიალური ზარალი. რამდენიმე კაცი სერიოზულად დაიჭრა.

იაპონელთა ცნობები

ტოკიო, 3 თებერვალი (საქდესი). 3 თებერვალს ღამით იაპონელთა მოპიკე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სინგაპურის კუნძულს. თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მთელ რიგ ობიექტებზე. ჯოხორის სრუტის გაღმა-გამოღმიდან იაპონიისა და ინგლისის არტილერიას შორის სროლა გრძელდება. სინგაპურში ხუთგან გაჩნდა ხანძარი.

სინგაპური

(ცნობა)

მას შემდეგ, რაც ინგლისის ჯარებმა მალაია დასცალეს და სინგაპურის კუნძულზე გადავიდნენ, დაიწყო უშუალო ბრძოლა ინგლისის ამ ბაზისათვის.

სინგაპური ინგლისის უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და უდიდესი სავაჭრო ცენტრია. იგი მდებარეობს პატარა კუნძულზე, მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაპირთან. ამ კუნძულის სიგრძე უდრის 27 მილს, ხოლო სიგანე — 14 მილს. კუნძულს კონტინენტისაგან ჰყოფს ჯოხორის ვიწრო სრუტე, ხოლო ჰოლანდიის ინდოეთის კუნძულებისაგან — სინგაპურის სრუტე. კუნძულის ტერიტორია ბორცვებიანია და ალაგ-ალაგ ჯუნგლებს წარმოადგენს. კუნძულის უმაღლესი წერტილი ზღვისდონიდან 500 მეტრის სიმაღლეზეა.

ქალაქი სინგაპური კუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს. იგი უდიდესი ნავსადგურია, რომელიც მდებარეობს იმ ნაწილში, სადაც ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების წყლები ერთმანეთს უერთდება. სინგაპურთან გადის სავაჭრო გზები და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კომუნიკაციები, რომლებიც მიდის ინდოეთის მთელი აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთისაკენ — ინდოეთში, აფრიკაში, ევროპაში და უკან. სინგაპურის საშუალებით სწარმოებს აქტიური ვაჭრობა, რომლის საერთო ბრუნვაც 750 მილიონ დოლარს აღწევს წლიურად. ომამდე სინგაპურის ნავმისადგომებთან საშუალოდ 250 სავაჭრო გემი იდგა, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა პუნქტში მიემართებოდნენ. კუნძული კონტინენტს უერთდება 20 მეტრი სიგანის ჯებირით, რომელზედაც გაყვანილია რკინიგზა; ეს გზა ჩრდილოეთისაკენ ბანგკოკამდე (ტაი) მიდის მთელი მალაიის გაყოლით. ქალაქის მოსახლეობა 700 ათას კაცს უდრის და ევროპელთა, ჩინელთა და ნაწილობრივ მალაელთა და იაპონელთაგან შესდგება.

სინგაპურის კუნძულზე სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნა მხოლოდ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ დაიწყო. აქ აგებულია მძლავრი სანაპირო ხიმაგრები, სადაც დადგმულია 18-სანტიმეტრიან ქვემეხთა ბატარიები. ამ ქვემეხთა შორსმსროლობა 25 მილს აღწევს. ხშირ შამბნარში დადგმულია საზენიტო ქვემეხები, მოწყობილია აეროდრომები, მშრალი დოკები, სახელოსნოები, საომარი მასალის საწყობები და სხვ. აქ ინგლისიდან ბუქსირით ჩამოიტანეს უზარმაზარი მცურავი დოკი, რომელსაც შეუძლია მიიღოს უდიდესი თანამედროვე გემები, მთავარი სამხედრო ბაზა სელეტარშია, რომელიც კუნძულის ჩრდილო სანაპიროზე მდებარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ლენინის რაიონი

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის XI პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა რაიონის საწარმო-დაწესებულებებში სამამულო ომის პერიოდში და ანგარიში 1941 წლის 29 იანვრიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე რაიონის პარტორგანიზაციებში ახალ წევრთა მიღების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ზაიდაშვილმა. მან უამბო დამსწრეთ, თუ რა მუშაობა ჩაატარეს სამამულო ომის პერიოდში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საწარმო-დაწესებულებებში პარტიულ-პოლიტიკური ხაზით, როგორ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება სტახანოვური მოძრაობის გაშლის შედეგად და რა გაკეთდა სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის დარგში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ ამხანაგები: ბარსეგიანი, მეფარიძე, ცაგარეიშვილი, არუთინოვი, იუსტინოვა, ბაგატელოვი, გოგლიძე, ბახტაძე, მგელაძე, ლოლაძე, ჩაგუნავა. ისინი ერთსულოვნად იწონებდნენ რაიკომის მიერ ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებს, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს ზოგიერთი საწარმოს პარტორგანიზაციებს.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ოლია აბულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ 1941 წლის 29 იანვრიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ლენინის რაიონის პარტორგანიზაციებში მიღებულია წევრად 289 კაცი, ხოლო წევრობის კანდიდატად 155 კაცი. ომის პერიოდში მიღებულ წევრ-კანდიდატთა რაოდენობა კი 288-ს უდრის.

ამხ. აბულაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს თოფურიამ, ოქრუაშვილმა და მუჩკაევამ.

აღნიშნულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები, რომლებშიც დასახულია ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კვაჭაძე.

26 კომისრის რაიონი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის X პლენუმმა, რომელიც შესდგა 3 თებერვალს, განიხილა საკითხები: რაიონის საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ სამამულო ომის პირობებში და 1941 წლის პირველ აპრილიდან 1942 წლის პირველ თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიონში პარტიაში მიღების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე.

ამხ. სიხარულიძემ ილაპარაკა სამამულო ომის პირობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უდიდეს მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ომის დღეებში დიდად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ასეთები არიან წისქვილკომბინატის, ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვა საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციები, ხოლო ზოგიერთი წარმოების, როგორც მაკარონის ფაბრიკის, საკონდიტრო ფაბრიკის, ზეთსახდელი ქარხნის და სხვ., პირველადმა პარტორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ომის დროის შესაფერისად.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: სურმავა, ცეცხლაძე, საკიანი, შატბერაშვილი, ჯიმჯარიანი, მოსეგოვი, არუთინოვა და კულაკოვა. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში ამხ. ბ. ლელიძე.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. მ. არაქელოვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ 1941 წლის 1 აპრილიდან 1942 წლის 1 თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა საქ. კ. პ. (ბ) წევრად მიიღეს 208, ხოლო წევრობის კანდიდატად—89 მოწინავე ადამიანი.

მეორე საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ბადაიანმა, გაჩეჩილაძემ, ჭრიკიშვილმა და კოპალიანმა.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

მოლოტოვის რაიონი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის სახელობის რაიკომის IX პლენუმმა მოისმინა საკითხი რაიონის საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ სამამულო ომის პირობებში, ანგარიში პარტორგანიზაციების ზრდის შესახებ 1941 წლის 7 აპრილიდან 1942 წლის 1 თებერვლამდე და საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გონგაძე, რომელიც შეეხო რაიონის საწარმოთა ზოგიერთი პარტორგანიზაციის მიერ სამამულო ომის პირობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობის ფაქტებს, რამაც გამოიწვია ამ საწარმოთა ჩამორჩენა გეგმების შესრულებაში.

ამხ. გონგაძის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: პ. ქართველიშვილი, ს. ყურაშვილი, ნ. თელია, ს. მექვაბიშვილი, ლ. არუთინოვი, ნ. გიორგობიანი და შავერდიანი.

საანგარიშო მოხსენებით რაიონის პარტორგანიზაციების ზრდის შესახებ გამოვიდა ამხ. ტ. ურუშაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, 1941 წლის 7 აპრილიდან 1942 წლის 1 თებერვლამდე, მოლოტოვის პარტორგანიზაციებში საქ. კ. პ. (ბ) წევრად მიღებულია 153 კაცი, ხოლო საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად—61 კაცი. ამხ. ტ. ურუშაძის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ნანეტაშვილი, მ. ლაზარევი და ი. კანანაძე.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა აგრეთვე განიხილა ორგანიზაციული საკითხები—რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ი. დვითიანი მისი წითელ არმიაში გაწვევის გამო და ამხ. ვ. ლუარსაბოვი—სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო. მათ ნაცვლად პლენუმმა ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. პ. ქართველიშვილი და ა. შახნაზაროვი.

კიროვის რაიონი

3 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის VIII პლენუმი, პლენუმმა განიხილა საკითხები: კიროვის რაიონის საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ სამამულო ომის ვითარებაში, ანგარიში 1941 წლის 15 აპრილიდან 1942 წლის 3 თებერვლამდე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიონში პარტიაში მიღების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია.

ამხ. ხოშტარიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ფირუმოვა, გ. სირაძე, ი. ცატუროვი, ნ. ჯაშიაშვილი, ვ. ჩარკვიანი, მ. გოგუაძე, თ. რაძნოვი, პ. ცხოიძე.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ დიდი სამამულო ომის დღეებში მთელმა რიგმა საწარმოებმა საომარ ყაიდაზე გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. მაგრამ ყველამ როდი გაიგო ომიანობის ტემპებით მუშაობის მნიშვნელობა. არტელმა „მკერავთა კომუნამ“, „მშრომელმა მუშამ“ 1941 წლის საწარმოო გეგმები ვერ შეასრულეს.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ლ. ბაბაიანმა. აღნიშნულ რაიონში 1941 წლის 15 აპრილიდან დღევანდლამდე საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიღებულია 202 და წევრებად 214 მოწინავე ადამიანი.

მეორე საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დოვლათბეგოვმა, ხიდაშელმა, შახვერდიანმა და მეძმარიაშვილმა.

ორივე საკითხზე პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

წითელ ჯარში გაწვევის გამო პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის პირველი მდივნობიდან გაათავისუფლა ამხ. შ. გალუსტოვი. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კ. ხოშტარია. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის ბიუროს წევრებად არჩეული არიან ამხ. ცატუროვი და ამხ. სილაძე.

საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი

1 თებერვალს შესდგა საქართველოს სსრ რემედასის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი. მოხსენებით საქართველოს რემედასის მიერ ჩატარებული მუშაობისა და ამოცანების შესახებ სამამულო ომის პერიოდში გამოვიდა საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. აბაშმაძე, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა საქართველოს რემედასის ორგანიზაციების მუშაობაზე შეეხო რა მთელი რიგი რაიკომების მუშაობას, ამხ. აბაშმაძემ აღნიშნა ლანჩხუთის, ჭიათურის, ქ. თბილისის ბერიას სახელობის, თეთრი წყაროს, ლუქსემბურგის რემედასის რაიკომების კარგი მუშაობა. პლენუმზე გამოირკვა, რომ საქ. რემედასის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში. რემედასელებმა უამრავი საჩუქრები, თბილი ტანსაცმელი და ნივთები გაუგზავნეს წითელ მებრძოლებს.

1941 წლის საფინანსო გეგმის შესრულებისა და 1942 წლის გეგმის შესახებ ილაპარაკა ამხ. გ. ვერულაშვილმა.

ორივე საკითხის ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: სამხარაძე (ქუთაისი), გვაზავა (წიათურა), ლურსმანაშვილი (თბილისი, მოლოტოვის სახელობის რაიონი), გ. ელისაბედაშვილი (თბილისი), ჭელიძე (ონი), მასხულია (თბილისი), ასკილაშვილი (თბილისი, აბრეშუმის ფაბრიკა), რომენდიკო (თბილისი) და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა რემედასის მთელი რიგი რაიკომების სუსტი მუშაობა (ბორჩალო, ყვარელი, ამბროლაური, ყაზბეგი).

პლენუმმა მოიწონა წინადადება საქ. რემედასის სახელობის ავიაესკადრილიის აგების შესახებ.

პლენუმს ესწრებოდნენ ყოფილი პოლიტკატორღელები, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან. მათ მიმართეს საქ. რემედასის ცენტრალურ კომიტეტს წერილით, რომელშიც გამოსთქვამენ თავიანთ მადლობას იმ მზრუნველობისა და დახმარებისათვის რაც მათ საქ. რემედასის ორგანიზაციებმა გაუწიეს. მიმართვაში ნათქვამია: „ამხანაგების ჯგუფის სახელით გამოვთქვამთ ჩვენს მადლობას საქ. რემედასის ორგანიზაციებისა და რემედასის ცენტრალური კომიტეტის, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის ამხ. აბაშმაძის მიმართ, რომელიც მთელი თავისი ენერგიით ზრუნავს ჩვენზე“. მიმართვას ხელს აწერენ ყოფილ პოლიტკატორღელთა დავალებით ლუნია ბიბროვსკაია, ზდისლავ ბიბროვსკი და ბელა როიტმანი.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია და დასახა ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაშლისათვის.

თეატრებში

საოპერა — 5 თებერვალს — „ჩიო-ჩიო-სან“, 6 თებერვალს — „მეფის საცოლე“. **რუსთაველის სახელობის** — 5 თებერვალს — „რდვევა“, 6 თებერვალს — „კიკვიძე“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 5 თებერვალს — „მარგარიტა გოტიე“, 6 თებერვალს — „ურიელ აკოსტა“. **სანკულტურის** — 5 თებერვალს — ერთმოქმედებიანი პიესების საღამო, 7 თებერვალს—„ჟეილდა“.

ლექცია

6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის სახ. რაიკომის აგიტპუნქტის დარბაზში შესდგება ამხ. იმედაძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა პატრიოტიზმი“.

შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი
აცხადებს სტუდენტთა რიცხვში მიღებას პირველ კურსზე.
განცხადებები მიიღება 7 თებერვლამდე ჩათვლით,
მისამართი: ქ. თბილისი, კრილოვის ქ. № 2.
18 ინსტიტუტის დირექცია.

„თბილვაჭრობის“ დირექცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან

მიხაკო ივანეს-ძე ღევაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/II სოფელ კემერში, ვანის რაიონი. 102

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის თანამშრომლები იუწყებიან გ. საყვარელიძის დედის

ანა მინას-ასულ საყვარელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6 და 7/II 8 ს. გამოსვენება 8/II 1 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 76, კუკიის სასაფლაოზე. 103

თბილისის მე-16 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ნინო ბაბტაძის დედის

ანა ნიკოლოზის-ასულ ლარიბოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5/II 5½ ს. მლეთის შესახვევი № 5, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 99

არტელ „თბილისის სამკერვალოს“ მუშაკთა კოლექტივი იუწყება ქეთო ფალავანდიშვილის მამის

ნიკოლოზ დავითის-ძე ფალავანდიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5/II 6 ს. მნათობის ქ. № 27, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 101

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.